

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 31 ოქტომბრის სხდომის

ოქმი №40

სტუ-ს სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოდგინა საკითხი სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული საკითხის შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 22 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: საქონელი და მომსახურების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 12 780 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლის საწვავ-საპოხი მასალის შეძენის ხარჯებში.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე